პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 აგვისტო ხუთშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 194 (14494)

ლენინურ ჯგროვის ვარიანტი

ᲙᲐᲤᲐᲠᲗᲝᲕᲔᲑᲔᲜ ᲐᲡᲝᲠᲢᲘᲛᲔᲜᲢᲡ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივი სასახელოდ ასრულებს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ნაკისრ ვალდებულებებს. აქ შვიდი თვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 245 ათასი მანეთის, ხოლო რეალიზებულია 326 ათასი მანეთის პროდუქცია.

ფეიქრებმა გეგმასთან შედარებით 13,5 პროცენტით, ხოლო გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 23 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება. ამასთან თვითღირებულების შემცირებით 8 ათასი მანეთი დაზოგეს.

გაფართოვდა პროდუქციის ასორტიმენტი. წარმატებით ითვისეს და ახლა სერიულად უშვებენ ელასტიკის ქსოვილს სვიტერებსა და ჯემრებს, შალნარევის და სპორტულ შარვლებს.

ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲐᲘᲔᲗᲘᲡ ᲜᲘᲜᲐᲣᲠᲘ

ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲠᲔᲚᲘ მერჩაიელები წელს კარგად უვლიან პლანტაციებს. ამის შედეგად საკრეფი ფოთოლი უხვად არის, რაიონის შრომელებმა ფართოდ გაიჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ᲤᲝᲗᲝᲚᲘᲡ ᲣᲛᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲐᲛᲘᲜᲓᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲣᲨᲕᲘᲗᲚᲘᲕ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ 20 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡᲐᲗᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲛᲖᲘᲐᲠᲘᲣᲨᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲠᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲩᲐᲑᲐᲠᲓᲐ 9.950 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲚᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ 9.980 ᲢᲝᲜᲘᲡᲐ. რაიონში საკრეფი მანქანით უნდა აიღონ 250 ტონა ფოთოლი. მოკრეფილია 180 ტონა. მანქანით ფოთლის აღების დავალება ამ დღეებში შესრულდება.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობამ, ნაგვაზოს ი. ბ. სტალინის სახელობის, დიდი ჭყონის კუიბიშევისა და მახარაძის სახელობის, დაბა გეგეჭკორის ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის, ინჩხურის შეროზიას სახელობის, გურძემის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებმა, სერგეეთის კოლმეურნეობა „განთიადმა", ლეხაინდრაოს კოლმეურნეობა „საქართველომ", გაჭედილის კოლმეურნეობებმა „ავანგარდმა" და „წინსვლამ", სოფელ კურუს კოლმეურნეობამ.

აღსანიშნავია დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორების შრომა, მათ აიღეს 56 ტონა ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ტონისა. ახლა მექანიზატორები რ. დგებუაძე და ვ. გოროზია საკრეფი მანქანით წლიური გეგმის გადამეტებით უოველდღე ასობით კილოგრამ ფოთოლს იღებენ.

ჩაის ფოთლის კრეფაში ბევრმა მეჩაიემ ისახელა თავი. მათ შორის აღსანიშნავი არიან დაბა გეგეჭკორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, გმირი დედა, სოციალისტური შრომის გმირი მ. ჩიქვანაია, დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობაში ლენინის ორდენოსანი გ. ფვანია, გაუშები ლ. ახალაია, მ. ფვანია, გაჭედილის კოლმეურნეობა „ავანგარდის" წევრი ძ. ჯანჯღავა, გურძემის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ნ. ფაღავა, „ოქროს „პრავდის" სახელობის კოლმეურნეობის წევრები ც. გულორდავა, ნ. ხუხუა და სხვები.

გეგეჭკორელი მეჩაიეები მიწეწულს როდი სჯერდებიან. გადაწყვეტეს ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲡᲐᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲙᲠᲘᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲠᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲜᲔ 1.000 ᲢᲝᲜᲐᲗᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘ.

(„კომუნისტის" კორ.).

ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲠᲔᲚᲘ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲗᲐ ᲜᲘᲜᲐᲣᲠᲘ

თᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲛᲐᲠᲙᲘᲗ ᲒᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲗᲘ

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანას ხუთ ათეულ წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. დღეს ამ ქარხნის მარკით დამზადებულ პროდუქციას იცნობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მომმზარებელთა შორის განსაკუთრებით დიდი მოწონებით სარგებლობს აქ დამზადებული ყურძნის საწური მანქანები, რომელთა წარმადობა საათში 10 ათასი ტონაა. ასევე დიდი მოთხოვნილებაა სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარებზე. ისინი დიდ დახმარებას უწევენ სოფლის მეურნეობის მუშაკებს. ამას წინათ ქარხანამ 4 ცალი „ობლაკოს" ტიპის სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარი გაგზავნა ბულგარეთში.

ქარხანაში ითვისებენ და უკვე მასობრივად უშვებენ ბოთლების დამსუფთავებელ ახალ ავტომატს, რომელიც საათში 6 ათას ბოთლს ხუფავს და სიმძლავრით ორჯერ აღემატება ადრინდელს.

ლენინურ შრომითს ვახტანგ მდგომმა საწარმოს (დირექტორი დ. ჭორგოლიანი) კოლექტივმა გადაჭარბებით, ყველა მაჩვენებლით გაანაღდა ხუთწლედის მეოთხე წლის შვიდი თვის დავალება. რეალიზაციის გეგმით გათვალისწინებული 1 მილიონ 680 ათასი მანეთის ნაცვლად მომხმარებელს მიაწოდა 1 მილიონ 685 ათასი მანეთი პროდუქცია. საერთო პროდუქციის გამომვების გეგმას კი აქ 9 ათასი მანეთით გადაჭარბეს და ივლისში შრომის ნაყოფიერება 5,1 პროცენტით გაზარდეს.

(„კომუნისტის" კორ.).

შრომა და დისციპლინა

ᲩᲕᲘᲓᲔᲚᲘ ადრიან დილით, როცა მოუხმობენ ქარხნების საყვირები, ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მშრომელები თავიანთი სამუშაო ადგილებისაკენ მიეშურებიან. ათასობით მუყაითი ადამიანი დგება შრომითს ვახტანგ მუშების ტაბუცაძის, კილაძის, აბრამიშვილის, ოქელაშვილისა და სხვათა უყურადღებობით, საზოგადოებრივი დავალებებიადმი უსასუხისმგებლო დამოკიდებულებით გაცდენილია მრავალი სამუშაო საათი, დაკარგულია ტონობით ნაგნობი.

მუშამ სამუშაო გაიცდინა, ეს ფაქტი თანამედროვე საწარმოში, სადაც თითქმის ყველა პროცესი ავტომატიზებული და მექანიზებულია, უნდა განვიხილოთ როგორც საგანგაშო შემთხვევა და გადამჭრელი ზომები მივიღოთ გაცდენების მიმართ.

საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის საუკეთესო პირობებს ქმნის ახალი სამეურნეო რეფორმა, რომელიც პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებს, თვითეულ მუშრომელს შრომის მეტ ინტერესს უღვივებს. საჭიროა უფრო მოქნილად გამოვიყენოთ იგი, წავახალისოთ ისინი, ვინც თავისი თავდადებული შრომით მაგალითს აძლევს სხვას. დისციპლინის დამრღვევთა საქმეების საზოგადოებრივ სახალხო სასამართლოებში და ხაერთო კრებებზე განხილვის ნაცად მეთოდებთან ერთად სულ უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ზოგიერთი საწარმოს ახალი გამოცდილება, რაც კოლექტივის გადაწყვეტილებით შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ მატერიალურ ზემოქმედებას ემყარება.

მართლაც, რატომ უნდა სარგებლობდნენ გამცდენები შვებულების, მიცემისას, ბინების, დასასვენებელი სახლების საგზურების განაწილებისას ისეთივე უფლებებით, როგორითაც, ყოველთ, მოწინავე მუშები? რატომ უნდა იღებდნენ პრემიებს იმავე ოდენობით, როგორც ისინი, ვინც ყოველდღიურად ზრუნავს საწარმოს ინტერესებისათვის, ზოგიერთ ეუოს, მუშაობს ყაირათიანად? ამ და ბევრი სხვა საკითხის გადაჭრა დღეს პირველი რიგის ამოცანაა, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით დგება საწარმოთა პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების წინაშე.

უფრო ღრმად მოვაანალიზოთ საწარმოთა მუშაობის ანალიზი, ნიადაგი გავუთვალოთ შრომის დისციპლინის დარღვევებს და უკეთესი პირობები შევუქმნათ მაღალთფეძტურ შრომას. ამას მოითხოვს დღევანდელი ვითარება, როცა ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲘᲡᲛᲔᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲗ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲠᲩᲐ.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ

ლენინურ შრომითს ვახტანგ მდგომი თბილისის № 1 მექანიკური ქარხნის (დირექტორი გ. ᲛᲝᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ) კოლექტივი მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს ხუთწლედის მეოთხე წელს. აქ ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულეს შვიდი თვის გეგმა. საწარმოს კოლექტივს განვლილ პერიოდში 2 მილიონ 206 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია უნდა მოეხდინა, ფაქტიურად ამ ციფრს აკ 44 ათასი მანეთით გადაჭარბეს. ასევე გადაჭარბებით იქნა შესრულებული საერთო პროდუქციის გამომვების გეგმა. ნაცვლად 2 მილიონ 201 ათასი მანეთისა, გამოშვებულია 2 მილიონ 268 ათასი მანეთის პროდუქცია.

ქარხანა 35 დასახელების პროდუქციას უშვებს. მათ შორის ბევრი ფართო მომხმარების საგნებია. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა აქ დამზადებული კონსერვის ქილების სახუფავ იარაღებზე. გარდა ამისა, აქ მზადდება მასალების სატრანსპორტო კონვეიერების სხვადასხვა ნაწილი, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქარხანას უგზავნიან. ამას წინათ კი აქაური პროდუქცია მოძე ბულგარეთს გაეგზავნა.

თ. ᲙᲘᲜᲬᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲐᲓᲔᲑᲐ

რუსთავი. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა შეიმუშავა საწარმოთა სოციალური განვითარების კომპლექსურ-პერსპექტიული გეგმა. უახლოესი წლებისათვის. ამ გეგმის რეალიზაცია რუსთაველებს საშუალებას მისცემს 1975 წლისათვის 1967 წელთან შედარებით თუჯის წარმოება გაადიდონ 3-ჯერ, ფოლადისა და მზა ნაგლინისა — 2,5-ჯერ, მილებისა — 2-ჯერ.

საქართველოს მეტალურგიული ქარხნების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის პროექტებით დიდი სამუშაოები ხორციელდება მარტენის საამქროს რეკონსტრუქციისათვის. მთელი რიგ ტექნიკურ სიახლეთა გამოყენების შედეგად მარტენის ღუმელები ინტენსიფიცირებულია 20-25 პროცენტით.

მუშავდება აგრეთვე ყველა საგლინავი საამქროს ავტომატიზაციის პროექტები, ხოლო მილების წარმოების გადიდებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აშენდება ახალი მძლავრი მილსაგლინავი აგრეგატი — „140", რის შედეგაც ქართული მილების წარმოება ერთიორად გაიზრდება.

ქარხნის რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე ახალი აგლომერაციული ფაბრიკის მშენებლობას, რომელსაც სამი მანქანა ექნება. (საქდესი).

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝᲓ

ᲔᲜᲒᲣᲠᲯᲔᲡᲘ. დღითიდღე აუმჯობესებენ მუშაობას ენგურჯესის საშენ მასალათა კომბინატი, რომელმაც წელს 6 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სხვადასხვა საშენი მასალა უნდა მიაწოდოს გიგანტური ელექტროსადგურის მშენებლობას. აქედან 80 პროცენტი სასაქონლო ბეტონი იქნება.

კომბინატი მასალებით ამარაგებს კაშხალმშენის, გვირაბმშენის, ვარდნილეზესების, ძალოვანი კვანძის და სხვა სამმართველოებს. ამ დიდი ორგანიზაციების მომარაგება ადვილი საქმე როდია. სწორედ ამიტომ კომბინატელები ყველგან თავდადებით შრომობენ. ახლახან საექსპლოატაციოდ გადაცემულ ქვასამსხვრეე-დამზარისხებელი ფაბრიკაში (მისი სიმძლავრე ახლა ერთიორად გაიზარდა და წელიწადში 400 ათასი კუბური მეტრი ქვის გამოშვებას მიაღწია).

ქვის დამზარისხებლებსა და მებეტონეებს არც ხის-დამმუშავებელი ქარხნის მუშაკები ჩამორჩებიან. აქ ყოველდიურად 1000-1200 კუბურ მეტრ ხის მასალებს ხერხავენ. მაღალხარისხოვან შიფერს აწარმოებენ სამოქალაქო მშენებლობის სამმართველოს შიფერის ქარხნის მშრომელებიც.

სამშენებლო კომბინატში ლენინური შრომითი ვახტი დამკვრელურად მიმდინარეობს. შეორეკვარტალი აქ წარმატებით დაამთავრეს. მშენებლებს გეგმის გადამეტებით გაეგზავნათ ათასობით კუბური მეტრი ბეტონი, ხის მასალები, სხვადასხვა ზომის სახურავი შიფერი. დაწინაურდნენ ხის დამამუშავებელი ქარხნის ის სამამრეები, რომლებსაც ო. ჯორჯაძე და გ. შენგელია ხელმძღვანელობენ.

კომბინატის მშრომელებმა, რომლებმაც ახალი ენთუზიაზმით დაიწყეს მესამე კვარტალი, ყაირათიანად და მომჭირნეობით მუშაობენ. მათ ვალდებულება იკისრეს ვადამდე გაანაღდონ წლიური დავალება და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავზე პროდუქცია დაზოგილი მასალებით გამოუშვან.

ი. ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ.

ᲛᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ

ᲛᲔᲡᲢᲘᲐ. (საკ. კორ.). ხაიში მესტიის რაიონის ერთ-ერთი დიდი და კეთილშოყობილი სოფელია. ათეული წლების წინათ კი ღარიბი ხაიშელი გლეხი სარჩოს ძლივს შოულობდა. გაუვალ ტყეებში ხეს ჭრიდა, ენგურზე აცურებდა, ნახირს მწყემსავდა, ბარში მიდიოდა სამუშაოდ.

1933 წელს ამონლილის პირველმა აფეთქებამ მყუდროება დაუფრეთა სვანეთის ბებერ მთებს. გეოლოგიურმა ექსპედიციებმა ხაიშის მთებს მიაშურეს, ძვირფას მადანს ეძებდნენ.

აქაურ ძვირფას საბადოთა შორის გამოირჩევა ხაიშის 10-15 კილომეტრით დაშორებული ბარიტის საბადო, რომლის პირველი რიგის მშენებლობა 1963 წელს დაიწყო. ხაიშიდან მაღარმოდე მისასვლელს საავტომობილო გზა გაიკვალნეს. 1968 წელს კი დაიწყო ბარიტის მაღაროს მშენებლობა.

ბარიტის საბადოში განლაგებულია. ბარიტის მადნის სხვადასხვა სიმძლავრის 10 ძარღვი, რომელთა საერთო გეოლოგიური მარაგი 287.600 ტონას შეადგენს. მაღაროს არსებობის ვადა გათვალისწინებულია 15 წლის მარაგით. წლიური წარმადობა 20 ათასი ტონა ბარიტის მადანი და 15 ათასი ტონა ბარიტის კონცენტრატი იქნება. პირველ რიგში მუშავდება № 1 ბარიტის ძარღვი, რომელის გეოლოგიური მარაგი 61.250 ტონაა.

მიმდინარე წელს მშენებლებმა 160 ათასი ტონა უნდა ათვისონ. 7 თვეში შესრულებულია 90 ათასი მანეთის სამუშაო. მართალია, გეგმები აქ ყოველთვის სრულდება, მაგრამ მშენებლებს არ ჰყოფნით ავტოტრანსპორტი, ბულდოზერები, ამწეები.

მაღაროს მშენებლობის მოწინავე ადამიანები არიან ცელის უფროსი პ. შანავა, მიწისქვეშა სამუშაოების მოშენი ი. კურტანიძე, გ. ბენიძე, ბ. ჩაკვეტაძე, შ. კინწურაშვილი, ლ. ხორცილავა, კომბინატორი მემანქანე ნ. ჭკადუა და სხვები, ისინი დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ანაღდებენ.

ᲑᲐᲠᲘᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲑᲐᲓᲝ

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲚᲔᲑᲛᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ კპ ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. ᲮᲐᲜᲯᲘᲫᲔ**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. ᲐᲚᲘᲔᲕᲛᲐ**, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ბ. ᲒᲝᲚᲔᲠᲛᲐ** გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია აცნობეს, რომ რაიონის მეფრინველეობამ, რომლებმაც ფართოდ გაიჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის შეხვედრისათვის, პირობა შეასრულეს. 18 აგვისტოსათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 5 მილიონ 490 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 5 მილიონ 360 ათასი ცალისა.

კარგად იმუშაეს თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკის ბრიგადირებმა, რომლებსაც ტ. რეხვიაშვილი, ა. გოლეთიანი, ე. ამიროვი ხელმძღვანელობენ, ზოოტექნიკოსმა მ. პოპანდოპულომ.

რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ სახელმწიფოს მილიონნახევარი ცალი კვერცხი.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ბოლნისის რაიონის თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკის წიწილების გაზრდის საამქრო.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲣᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

19 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ გაიმართა სამშენებლო, სამონტაჟო და საპროექტო ორგანიზაციათა, სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოთების მუშაკთა თათბირი, რომელიც მოიწვიეს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **ᲛᲝ. ᲚᲝᲛᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ორგანიზაციის სრულყოფის, კადრების დამკვიდრების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუჯობესების, მშენებლობის ხარისხის გაუჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათან დაკავშირებით მშენებელთა ამოცანებზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ა. ᲚᲐᲑᲐᲮᲣᲐᲛ.**

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ „თბილმთავარმშენის" უფროსი **გ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ**, პარტიის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი **გ. ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **პ. ᲙᲘᲠᲘᲕᲐᲫᲔ**, „თბილქალაქპროექტის" დირექტორი **ა. ᲚᲐᲛᲘᲜᲫᲔ**, საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი **ხ. ᲚᲔᲠᲗᲘᲫᲔᲜᲘᲫᲔ**, „საქმშენინდუსტრიის" ტრესტის მოსაპირკეთებელი მასალების კომბინატის საყალიბო საამქროს ბრიგადირი **ო. ᲐᲑᲠᲐᲰᲐᲛᲘᲫᲔ**, „საქმშენინდუსტრიის" ტრესტის უფროსი **შ. ᲚᲐᲛᲘᲫᲔ**, სსრ კავშირის მშენებლობის საქართველოს კანტორის მმართველი **ᲨᲐᲰᲘᲫᲔ**, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **ი. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **რ. ᲤᲠᲣᲘᲫᲔ.** (საქდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲛᲔᲥᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲮᲘᲚᲘᲡ ᲬᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲘᲚ-ᲙᲔᲜᲙᲠᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲝᲔᲑᲘ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავს ხილის წვენებისა და ხილ-კენკრის ღვინოების საწარმოების მუშაობის გაუჯობესებას. ამ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში ხილის წვენებისა და ხილ-კენკრის ღვინოების წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამან საშუალება მოგვცა უფრო რაციონალურად გამოგვიყენებინა არასტანდარტული და ველური ხილისა და კენკრის რესურსები და მაღალი რენტაბელობის შედეგად გაგვეუჯობესებინა საწარმოთა ფინანსური მაჩვენებლები.

მაგრამ, როგორც ცხადყო შემოწმებამ, რომელიც მოაწყეს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ხილის წვენებისა და ხილ-კენკრის ღვინოების მწარმოებელი მთელი რიგი საწარმოების მუშაობაში ჯერ კიდევ დამყარებული არ არის სახელმწიფო წესრიგი მატერიალურ ფასეულობათა დაცვის საქმეში, უხეში დარღვევებია ნედლეულისა და მზა პროდუქციის აღრიცხვაში, არის სახელმწიფო სახსრების განიავების შემთხვევები.

უკუნტროლობის შედეგად ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში დანაკლისმა, დატაცებამ და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გაფუჭებამ 1969 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 684 ათასი მანეთი ნაცვლად 223 ათასი მანეთისა, რაც გასული წლის ამავე პერიოდში იყო. სახელმწიფო კომიტეტ „საქმთავარკონსერვხილმოსტნის" თბილისის საკავშ კომბინატში დატაცებულია 566 ათასი მანეთი.

წვენებისა და ხილ-კენკრის ღვინოების წარმოება დაქსაქსულია ბევრ ორგანიზაციაში. მთელ რიგ შემთხვევებში ერთსა და იმავე რაიონში პარალელურად მოქმედებს ერთი ან სხვადასხვა უწყების რამდენიმე პატარა საწარმო. მეტი წილი საწარმოებისა, რომლებიც წვენებსა და ხილ-კენკრის ღვინოებს აწარმოებენ, განლაგებულია **უგარგის შენობებში, ცუდად არის აღჭურვილი საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობით და საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებით. ამიტომ ირღვევა პროდუქციის გამოშვების საწარმოო და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. ბევრი საწარმო მცირე ძალისაა და რაიონებში განლაგებულია ნედლეული რესურსებისა და ტექნიკური შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად.**

ზოგიერთ საწარმოსა და დამამზადებელ დაწესებულებაში ჯერ კიდევ მუშაობენ შემთხვევითი პირები, რომლებიც ნდობის ღირსი არ არიან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიზანშეწონილად ცნო გამსხვილებულ იქნას წვენების გადასამუშავებელი ჭარილი საწარმოები ტექნიკური ბაზის, ნედლეულის რესურსებისა და მათი რაციონალური განლაგების, აგრეთვე წარმოების ხელმძღვანელობისა და პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის განმსორციელებელი შესაბამისი კადრების გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქმთავარკონსერვხილმოსტნის" **სახელმწიფო კომიტეტმა** და ცეკავშირის გამგეობამ ხილ-კენკრის ღვინოებისა და წვენების წარმოებას თავი უნდა მოუყარონ თვითეული სისტემის ერთ სპეციალიზებულ სამმართველოში, ამასთან მხედველობაში იქონიონ საწარმოთა მაქსიმალური გამსვლელება და ხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების უზრუნველყოფა.

ერთი თვის ვადაში უნდა გადაისინჯოს „საქმთავარკონსერვხილმოსტნის" და ცეკავშირის საწარმოების დისლოკაცია. მათი ტექნიკური აღჭურვისა და ნედლეულის რესურსების გათვალისწინებით და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმების შემდეგ დამტკიცებულ იქნას ახალი დისლოკაცია.

იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ზენის მწარმოებელი საწარმოები ზვრილი, დაჭაკუნული, ტექნიკურად სუსტად აღჭურვილია და არ შეესაბამება **სანიტარულ-ტექნიკურ მოთხოვნებს, გადაწყვეტილია გაუქმდეს ამ სისტემაში ხილ-კენკრის წვენების წარმოება (გარდა ქუთაისში ნატურალური წვენების წარმოებისა).**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქკონსერვხილმოსტნის" სახელმწიფო კომიტეტს გადაეცა ლენინგორის ხილის წვენების წარმოება, რომელიც გამოყოფილია როგორც დამოკიდებელი სახარჯთაღრიცხვო ერთეული.

გაუქმებულია, ლენტების წვენის საწარმოს გარდა, აბაშის, ტყიბულის, ხობის, ონის, თეთრი წყაროს, თიანეთის, თელავის, ადიგენის, ჯასპის, ბოლნისის წვენის საწარმოები. ლენტების რაიმრეწკომბინატის წვენების საწარმო გადაეცა ამ რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო გაერთიანებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოსთხოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქკონსერვხილმოსტნის" სახელმწიფო კომიტეტისა და ცეკავშირის ხელმძღვანელობას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ნატურალური წვენების წარმოების მკვეთრად გადიდებას, აკრძალონ ჯეგმის გადამეტებით სულფიდირებული და დადუღებული წვენების დამზადება. ამ ორგანიზაციებს აეკრძალათ ძვირფასი კენკრა-ხენდრო და ჟოლო გამოიყენონ ხილ-კენკრის ღვინოების წარმოებისათვის, სანამ არ შეაორულებენ საკოსნერვო მრეწველობისა და ვიტრობისათვის მიწოდების გეგმას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქკონსერვხილმოსტნის" სახელმწიფო კომიტეტი და ცეკავშირის გამგეობა ვალდებული არიან ააძლიერონ კონტროლი იმ საწარმოთა მუშაობისადმი, რომლებიც აწარმოებენ ხილის წვენებსა და ხილ-კენკრის ღვინოებს, მიაღწიონ იმას, რომ ეს საწარმოები იცავდნენ ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიურ რეჟიმს და აუჯობესებდნენ პროდუქციის ხარისხს, სახელმწიფო წესრიგი დაამყარონ საწარმოებში და შექმნან პირობები, რომლებიც გამორიცხავენ ყოველგვარ ბოროტმოქმედებას.

დედგენილია წესი, რომლის თანახმად ხილის წვენების გამომუშავებისათვის (გარდა ნატურალური წვენებისა) ძირითადად გამოყენებულ უნდა იქნას არასტანდარტული და ველური ხილი და კენკრა, ხოლო სტანდარტული ხილი — სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით და კალკულაციის მიხედვით დამტკიცებულ ᲣᲚᲘ თვითღირებულების ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საკუთარ მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, სატყეო მეურნეობის ინსტიტუტს, სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრას, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს (ტყის ტაქსაციის კათედრა და ეკონომიური კვლევის ლაბორატორია), სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს, საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქკონსერვხილმოსტნის" სახელმწიფო კომიტეტს დავალათ შეისწავლონ ველური ხილისა და კენკრის (ველური ვაშლი, მაყვალი, მოცვი, შვინდი, ასკილი, წყავი) საბრეწველო რესურსები რაიონებისა და სახეობათა მიხედვით, ხოლო „საქკონსერვხილმოსტნის" სახელმწიფო კომიტეტმა დაადგინოს დაწყებული 1970 წლიდან, მათი დამზადების ჯეგმები აგრეთვე რაიონებისა და სახეობათა მიხედვით.

საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა უნდა შეიმუშაოს ფასსიფიცირებული ხილ-კენკრის ღვინოებისა და წვენების განს

პარტიული ცხოვრება

პარტიულ ინფორმაციას — უფროქმედებითი მიდგომა

ქარბად მოწყობილი, ყოველმხრივ შემოწმებული და ობიექტური ინფორმაცია, რომელიც სხვადასხვა გზით მიედინება ზემოდამ ქვემოთ და ქვემოდან ზემოთ, ხელს უწყობს მასებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას, მათი აქტიურობისა და ინიციატივის ამაღლებას.

სწორედ ამიტომ არის, რომ ამ უკანასკნელ ხანს საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტი მეტ ყურადღებას აქცევს პარტიულ-პოლიტიკური ინფორმაციის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესებას. აქ, საქალაქო კომიტეტის პლენუმებზე, პარტიული აქტივის კრებებზე პარტიულ-პოლიტიკური და სახალხო მეურნეობის სასიცოცხლო საკითხებს რომ განიხილავენ, ყოველ გადაწყვეტილებას დროულად აცნობენ თვითეულ პირველადს პარტორგანიზაციას, თვითეულ კომუნისტს. ამასთან, საქალაქო კომიტეტი ადგილებზე — საწარმო-დაწესებულებებში, პარტიულ ორგანიზაციებში ეცნობა საქმის მდგომარეობას და ამის შესახებ სისტემატიურად აწვდის ინფორმაციას ზემდგომ ორგანოებს.

საცნობარო საინფორმაციო მუშაობისათვის საქალაქო კომიტეტში გამოყოფილი არიან მუშაკები. შემოღებულია საინფორმაციო მასალების შეგროვებისა და შენახვის გარკვეული წესი. ეს კი საშუალებას იძლევა ანალიზი გაუკეთდეს საქმის ვითარებას ამა თუ იმ უბანზე, გამოვლინდეს ნაკლოვანებანი, განზოგადდეს დადებითი გამოცდილება.

პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ რომელიმე ერთი სისტემის პარტიული ორგანიზაციების მდივნებთან და აქტივთან შეხვედრამ, თათბირების მოწყობამ, აზრთა გაცვლა-გამოცვლამ სასარგებლო შედეგი გამოიღო. უკვე მოეწყო ასეთი შეხვედრა-თათბირები მრეწველობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, განმრთელობის, განათლების, ვაჭრობის დარგის მუშაკებთან. წამოიჭრა მრავალი პრობლემატიკური საკითხი, რომელთა გადაჭრაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს როგორც ხელმძღვანელმა მუშაკებმა, ისე აქტივმა.

პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრებსა და წევრობის კანდიდატებს ბიურო სისტემატიურად უწევს კონტროლს, თუ როგორ ასრულებენ ისინი მიცემულ დავალებებს, ისმენს მათ ანგარიშებსაც. მაგალითად, პლენუმზე მოისმინეს ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორის გ. შენგელაიასა და სავაგონო დეპოს პარტბიუროს მდივნის ტ. ჯიბლაძის ანგარიშები, თუ რა გააკეთეს მათ როგორც საქალაქო კომიტეტის წევრებმა. ამან გაზარდა საქალაქო კომიტეტის წევრთა პასუხისმგებლობა.

ბოლო დროს პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობაში დაინერგა მრავალი ახალი საყურადღებო ფორმა და მეთოდი. მათ შორის აღსანიშნავია საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრებისა და პარტიული აპარატის მიერ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ადგილზე შესწავლა და მათთვის კონკრეტული დახმარების გაწევა. საამისოდ წინასწარ იქმნება გრაფიკი, რომელიც იმიტომაც არის საყურადღებო, რომ კომუნისტებმა ადრევე იციან, თუ ვინ როდის მივა მათს ორგანიზაციაში, და ემზადებიან ყველა მტკივნეული, მნიშვნელოვანი საკითხის განსახილველად. ასეთი მეთოდით საქალაქო კომიტეტის მდივნები, განყოფილების გამგეები და ინსტრუქტორები ყოველთვიურად ახერხებენ ასამდე პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესწავლას და კომუნისტებთან შეხვედრას.

ტრადიციას პრ ღალატობენ

ასე ემზადებიან ზუგდიდელები ახალი სასწავლო წლისათვის

ალე ხმაწკრიალა ზარები ცოდნის ტაძარში მოუხმობენ მოსწავლეებს, დასვენებული, მზით გარუჯული გოგო-ბიჭები სკოლის ეზოში შეგბიჯებენ. ბევრ მათგანს დახვდება ახალი, კეთილმოწყობილი შენობები, ახალი სასწავლო ინვენტარი.

ზუგდიდში ტრადიციად იქცა — ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ჯერ კიდევ სკოლებში ზარის რეკვის შეწყვეტამდე დაიწყონ. ამის შედეგიც არის, რომ 1962 წლიდან რაიონმა ოთხჯერ დაისაკუთრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო ოთხჯერვე —საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ამასაან რაიონი ფლობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალ დროშას.

ჯერ კიდევ 29 მაისს ზუგდიდის მზრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესიაზე განხილულა საკითხი 1969—1970 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელი აღზრდის ბავშვთა დაწესებულებების მომზადების შესახებ და მიიღო სათანადო დადგენილება.

წელს დიდდობირის და ტყაიის რვაწლიანნი სკოლები გადაკეთდა საშუალო სკოლებად, ხოლო შამგონის დაწყებითი სკოლა — რვაწლიან სკოლად. დიდდობირის რვაწლიან სკოლას მიუშენდა ოთხი ოთახი. წარმატებით მიმდინარეობს ოდიშის რვაწლიანნი სკოლის არსებულ შენობაზე რვა საკლასო ოთახის მიშენებისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში მარტო რაიონის სკოლების მატერიალური ბაზის ღირებულება საზოგადოებრივი სახსრებით გადიდდა 260 ათასი მანეთით. რაიონის კოლმეურნეობების, ფაბრიკებისა და ქარხნების სახსრებით აშენდა და არსებულ შენობებს მიუშენდა 61 საკლასო ოთახი 1820 მოსწავლის ადგილით.

ამ საქმეში განსაკუთრებით აღსანიშნავია შამგონის კირთვის საბერლობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ჯ. გუგუნია) ინიციატივა. კოლმეურნეობამ შამგონის რვაწლიან სკოლას მიუშენა 8 საკლასო ოთახი.

1 სექტემბრამდე 11 დღე დარჩა

ახალი სასწავლო წლისათვის საეკსპლოატაციოდ გადაეცემა ოდიშისა და საბერეთის რვაწლიანი, ნარაზენის რუსული, ოქტომბრის საშუალო და სხვა სკოლებში.

შემოწმიდულ იქნა 18 ათასი მანეთის ხელსაწყო-იარაღები და თვალსაჩინოებანი, 40 ათასი მანეთის სასკოლო ინვენტარი.

ახალი სასწავლო წლისათვის [illegible] დებულ ფასებში. საეკსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი სასკოლო შენობები, საკლასო ოთახები, კაბინეტები, ლაბორატორიები, სასპორტო დარბაზები. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროზე, ქალაქის საბჭოს სესიებზე და სხდომებზე პირველ საკითხად იდგა ახალი სასწავლო წლისათვის მზადება. ამის შედეგია, რომ 1 აგვისტოსათვის მზად იყო მესამე, მეოთხე, მეექვსე, მერვე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე საშუალო სკოლები.

დიდი სამუშაოები მიმდინარეობს პირველ საშუალო სკოლაში (დირექტორი საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი შ. ხუბულავა). აქ 15 ათასი მანეთი უნდა დაიხარჯოს. შეფი — ენგურჰესის სამოქალაქო მშენებლობის სამმართველო (უფროსი — დ. ხუფენა) ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დაწყებული კაპიტალური რემონტი 25 აგვისტოსათვის დამთავრდეს. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ზუგდიდის მეორე საშუალო სკოლის კაპიტალური რემონტის სამუშაოები, რასაც ზუგდიდის სარემონტო-სამშენებლო უბანი (უფროსი რ. გვილია) აწარმოებს. ენგურჰესელებმა მეოთხე საშუალო სკოლაში შეასრულეს კაპიტალური რემონტი, აქ დაიწყეს აგრეთვე სკოლის გაფართოება-მიშენების სამუშაოები.

ენგურჰაელექტრომშენებლის (დირექტორი ო. ფაცაცია) მეხუთე საშუალო სკოლა გაარემონტა.

ქალაქის რვაწლიან სკოლა-ინტერნატში (დირექტორი გ. ინჯოლავა) მთლიანად შეცვალეს სასწავლო კორპუსის სახურავი. შეაკეთეს კარ-ფანჯრები, [illegible] ათასს შეიტანს [illegible] ... ბულ [illegible] ... ბერს [illegible] ... ბერ [illegible] ... ბერ [illegible] ... ბერ

საერთაშორისო სიტყვა

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის საერთო სახელმწიფო აქტივი

პრაღა, 19 აგვისტო. (საკდესი). დღეს იულიუს ფუჩიკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ყირილობათა სახახლეში შეიკრიბა ათი ათასზე მეტი კაცი მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, კომუნისტთა, პროფკავშირთა საქარხნო კომიტეტების წარმომადგენელთა და სახალხო მილიციის რაზმების წევრთა საერთო სახელმწიფო აქტივზე, რომელიც მოიწვია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. აქტივი მიეძღვნა პარტიის თანამედროვე ამოცანებს.

აქტივის მონაწილენი მქუხარე ტაშით მიესალმნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დელეგაციას ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ბ. ჰუსაკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ლ. სვობოდასა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური მთავრობის თავმჯდომარის ო. ჩერნიკის მეთაურობით. დარბაზში გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიას!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“. აქტივს დაესწრნენ ავრეთვე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები ვ. ბილიაკი, ე. ერბანი, ი. პილერი, კ. პოლაჩეკი, შ. სადოვსკი და ლ. შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის გენერალიტეტი, სახალხო მილიციის ხელმძღვანელობა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

აქტივის კრება გახსნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩეხიის ოლქებში პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ლ. შტროუგალმა.

აქტივზე სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლუდვიკ სვობოდამ.

შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის საერთო სახელმწიფო აქტივის მონაწილეებმა მოისმინეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ბ. ჰუსაკის მოხსენება, რომელიც მიეძღვნა ჩეხოსლოვაკიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური პარტიის ამოცანებს.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პარტიული აქტივის მონაწილეთა განცხადება

პრაღა, 20 აგვისტო (საკდესი). გუშინ გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საერთო-სახელმწიფოებრივი პარტიული აქტივის კრება, რომლის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს განცხადება. განცხადებაში ნათქვამია, რომ ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მის პრაქტიკულ მოქმედებას.

თავისი ახლანდელი ამოცანების წარმატებით შესრულების ინტერესებისათვის, ნათქვამია განცხადებაში, თავისი რიგების იდეური ერთიანობისა და მოქმედების ერთიანობის განმტკიცების ინტერესებისათვის პარტიამ უნდა იბრძოლოს მეგარჯვენე ოპორტუნიზმისა და ანტისაბჭოურობის ყველა მომხრის წინააღმდეგ, რომლებიც ძირს უთხრიან მას შიგნიდან და ამრიგად, ამცირებენ მისი აქტიური მოქმედების უნარს.

მოვუწოდებთ კომუნისტებსა და ყველა მშრომელს პატიოსანი შრომით დავეხმაროთ პარტიას რაც შეიძლება მალე დაძლიოს არსებული სიძნელეები.

ჩვენ მთლიანად მხარს ვუჭერთ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ძირგამოთხრილი მოქმედების ორგანიზატორთა წინააღმდეგ, მხარს ვუჭერთ გადაწყვეტილებას ენერგიულად გამოვიყენოთ მათ წინააღმდეგ ყველა კანონიერი საშუალება. აშკარად ვაცხადებთ, რომ არავის არ მივცემთ ნებას ძირი გამოუთხაროს რესპუბლიკას.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ აქტივი შეიკრიბა პერიოდში, როცა აღინიშნება სლოვაკიის ეროვნული აჯანყებისა და საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავის სახელოვანი დღეები. მოწოდება „სამარადისოდ საბჭოთა კავშირთან ერთად“ დღესაც ჩეხოსლოვაკიის მთელი პოლიტიკის მთავარი შემადგენელი ნაწილია, ნათქვამია განცხადებაში. სოციალიზმი, ხაზს უსვამენ აქტივის მონაწილენი, შეიძლება წარმატებით განვითარდეს მხოლოდ ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობით და მტკიცე მეგობრობით.

გააძევეს ჩეხოსლოვაკიიდან

პრაღა, 20 აგვისტო. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა გუშინ ჩეხოსლოვაკიიდან გააძევეს საბერძნეთის პრაღის საელჩოს ატაშე ც. დიმიტრისი, რომლის საქმიანობა ეწინააღმდეგებოდა მის დიპლომატიურ მისიას ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში.

წერილი — უ ტანს

კორეელმა ხალხმა უნდა მიიღოს შესაძლებლობა თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი

ნიუ-იორკი, 19 აგვისტო. (საკდესი). ალეირის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის, ბულგარეთის, უნგრეთის, კამბოჯის, ბრაზავილის, კონგოს, კუბის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, სირიის, სსრ კავშირის, უკრაინის სს რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის მუდმივმა წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს გაუგზავნეს ერთობლივი წერილი, რომელშიც სთხოვენ გენერალური ასამბლეის 24-ე სესიის დღის წესრიგში შეიტანოს საკითხი: „ამერიკისა და ყველა სხვა უცხოთის ჯარების გაყვანის შესახებ, რომლებიც ოკუპაციას უწევენ სამხრეთ კორეას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით“.

ახსნა-განმარტებითს ბარათში, რომელიც ამ წერილს ახლავს, ნათქვამია: საკითხის არსი ის არის, რომ კორეელი ერი, ქვეყნის გაერთიანებისათვის კორეელი ხალხის მკაფიოდ გამოხატული მისწრაფების მიუხედავად, ჯერ კიდევ გათიშულია გარედან უხეში ჩარევის შედეგად.

წერილის ავტორები ხაზს უსვამენ, რომ არანორმალური მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა უწინარეს ყოვლისა ეკისრება მეერთებულ შტატებს, რომლის შეიარაღებული ძალები განაგრძობენ სამხრეთ კორეის ოკუპაციას.

ახსნა-განმარტებითს ბარათში ყურადღებას აპყრობენ იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხრეთ კორეის ოკუპაციის შემდეგ გადააქცია იგი სამხედრო პლაცდარმად დედამიწის ამ რაიონში, სეულის მარიონეტული ხროვა კი — თავისი ზრახვებისა და აქციების თანამონაწილედ და მორჩილ იარაღად. ბარათის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სეულის მარიონეტულმა ხროვამ 50.000-ზე მეტი სამხრეთ-კორეელი დაჭრილებული გაგზავნა სამხრეთ ვიეტნამში, სადაც ისინი აგრესიამი ამერიკის შეერთებული შტატების სხვა თანამონაწილეებთან ერთად უშუალოდ მონაწილეობენ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ომში.

ახსნა-განმარტებითი ბარათის ავტორები გადაჭრით აცხადებენ, რომ კორეელ ხალხს უნდა მიეცეს შესაძლებლობა თვითონ, გარედან ჩაურევლად, გადაწყვიტოს თავისი საშინაო საქმეები.

„ლუმანიტე“ გმობს ა. ჰარიმანის განცხადებას

პარიზი, 19 აგვისტო. (საკდესი). მაოისტთა ტერიტორიული პრეტენზიები საბჭოთა კავშირის მიმართ აბსურდულია, წერს გაზეთი „ლუმანიტე“. „თუ ჩვენ თვითნებურად დავიმოწმებთ გასულ საუკუნეებს, — აღნიშნავს გაზეთი, — რატომ არ უნდა მივიჩნიოთ, რომ თანამედროვე ჩინეთის საზღვრები ჩინეთის დიდ კედელზე უნდა გადიოდეს? „რაც შეეხება ჩინეთის ახლანდელ თეზისს ეგრეთწოდებული „არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებების“ შესახებ, „ლუმანიტე“ წერს, რომ თვით ჩინელ ხელმძღვანელებს, კერძოდ ჟ. მაო ძე-დუნს, წინათ მოწესრიგებულად მიაჩნდათ ამ ხელშეკრულებათა საკითხი.

„დღეს მაოისტები, — აღნიშნავს გაზეთი, — ცდილობენ გაამართლონ თავიანთი პრეტენზიები იმით, რომ მოგვაგონებენ ჩინელ იმპერატორთა ტერიტორიულ დაპყრობებს. მაშასადამე, მათ ეს დაპყრობანი სამართლიანად მიაჩნიათ. ისტორიის ასეთი გაგება ამუდვნებს ჩინეთში „ულტურული“ რევოლუციის ნამდვილ ხასიათს“.

ჩინეთის ხელისუფალნი, წერს შემდეგ „ლუმანიტე“, წინასწარგანზრახულად ირღვევენ სსრ კავშირის საზღვრებს. თვით ჩინეთში მილიტარიზაცია უკიდურესობამდე მიჰყავთ. აღვირახსნილი შოვინიზმი და ანტისაბჭოური ისტერია, რომლებიც ამერიკიდან აშკარად გამოცხადებულია მაოიზმის შემადგენელ ნაწილად, მოწმობენ, რომ მან მთლიანად გაწყვიტა კავშირი პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან.

„ჩინეთის ხელმძღვანელებს, — ასკვნის „ლუმანიტე“, — შეუძლიათ რამდენიც უნდათ ლაბძღონ და აგინონ ამერიკის იმპერიალიზმი. თავიანთი მოქმედებით კი უდიდეს სამსახურს უწევენ მას“.

„ქამილას“ ნაკვალევზე

ქარიშხლის შედეგების ლიკვიდირება

ჰავანა, 20 აგვისტო. (საკდესი). ქარიშხალმა „კამილამ“, რომელიც თავს დაატყდა კუბის პინარ-დელ-რიოს პროვინციას, სერიოზული ზარალი მიაყენა მოსახლეობას. მებადურთა დაბა კორტესში ტალღებმა წალეკა ზღვის პირას მდგარი 50 სახლი. კოლისპირული წყლის შედეგად ადადებულმა მდინარეებმა დატბორეს ნაოესები, წალეკეს გზები. დაზიანდა სატელეფონო კავშირგაბმულობისა და ელექტროგადაცემების ხაზები. წინასწარი მონაცემებით დაიღუპა სამი კაცი.

დროულად განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად პროვინციის 10 ათასამდე მცხოვრები წინასწარ იყო ევაკუირებული და პირუტყვი გადაიყვანეს უშიშარ ადგილებში.

ამჟამად სახალხო მილიციისა და მოხალისეთა სპეციალური რაზმები იბრძვიან ქარიშხლის შედეგების ლიკვიდაციისათვის. განახლდა შაქრის ლერწმის მოსავლის აღება. დაზარალებულ რაიონებში გაგზავნეს ექიმების ბრიგადები.

პინარ-დელ-რიოს პროვინციაში ცხოვრება თანდათან ნორმალურად ხდება.

ინდირა განდის გამოსვლა

დელი, 20 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ფარდაბამდიდან (ჰარიანის შტატი) დელში ჩამოსულ მუშათა, გლეხთა და ზეგრილ ვაჭართა მრავალთასიან მიტინგზე პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ განაცხადა, რომ გაწურულად შესრულდება ბანკების ნაციონალიზაცია და შემდგომი ეკონომიური რეფორმები, რომელთა განხორციელებასაც მთავრობა აპირებს. ინდირა განდიმ აღნიშნა, რომ ქვეყნის ყველა პოლიტიკური პარტია, „სვატანტრისა“ და „ჯან სანგჰის“ გარდა, მიესალმა გადაწყვეტილებას ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ. ეს ფაქტი, ხაზი გაუსვა პრემიერ-მინისტრმა, დამაჯერებლად მოწმობს, რომ ხალხის დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს მთავრობის ღონისძიებებს.

გამარჯვების დღესასწაული

ულან-ბატორი, 20 აგვისტო. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ფართოდ აღნიშნავენ [illegible] ბაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე მომუშავე კომუნისტების, პროფკავშირთა ხელმძღვანელი კომუნისტებისა და სახალხო მილიციის წარმომადგენლების საერთო-სახელმწიფო აქტივის კრების შესახებ, რომელიც პრაღაში გაიმართა.

პარიზის „ლუმანიტე“ დღეს ერთ-ერთ სტატიას უძღვნის ფაშისტ ოკუპანტებისაგან საფრანგეთის განთავისუფლების 25 წლისთავს.

დასავლეთის პრესა კვლავ აშუქებს მდგომარეობას ჩრდილოეთ ირლანდიაში.

დღევანდელ პრესაში გამოქვეყნებულ სხვა ცნობებს შორის აღსანიშნავია გრიგალ „კამილას“ ტრაგიკული შედეგები, რომელიც თავს დაატყდა ამერიკის მისისიპის შტატის ტერიტორიას; ხროლა სუეცის არხის რაიონში; აგრეთვე სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა ბრძოლები ამერიკა-საიგონის ჯარების წინააღმდეგ. (საკდესი).

ყოველი მხრიდან

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ფართოდ აღნიშნავენ მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში საბჭოთა და მონღოლეთის ჯარების გაერთიანებული ძალების მიერ იაპონელ ინტერვენტთა განადგურების 30 წლისთავს. ამ მოვლენას მონღოლეთის პრესა ბევრ სტატიას უძღვნის. ულან-ბატორის „უნენი“ მოწონავე სტატიაში წერს, რომ მონღოლი მშრომელები ხალხინ-გოლის ბრძოლების 30 წლის იუბილეს აღნიშნავენ, როგორც მონღოლი და საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობისა და ძმობის დღესასწაულს.

ხალხინ-გოლის გამარჯვება სამოდამოდ შევიდა მონღოლი და საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობის ისტორიაში, რომლის სათავეში იდგნენ დიდი ლენინი და მონღოლი ხალხის სახელოვანი შვილი სუხე-ბატორი.

გაზეთი ბეჭდავს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ჯენერალ-პოლკოვნიკ დ. დორჟის სტატიას, რომელშიც აღნიშნულია, რომ წლითიწლობით ვითარდება და მტკიცდება მონღოლი და საბჭოთა ხალხების, საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის შეიარაღებული ძალების ძმური მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა.



ზორეულ ზღვებში

ქართველი მეზღვაურის უგის წიგნაკიდან

ერავეირსზე სიცილიის ნაპირებია. ხმელთაშუა ზღვა საოცრად წყნარი და მოკამკამე. კოცო-სპიდაროს მაღლობზე აღმართული 36-მეტრიანი ზუქურა ჩამავალი მზის სხივებში თეთრად ქათქათებს... კაპიტნის ხიდურზე მდგომი შორეული ნაოსნობის ზურმანის სულიკო სურმანიძე სწორედ მის მიხედვით განსაზღვრავს გემის ადგილმდებარეობას და ამოწმებს კურსის სისწორეს...: ბობოქარი ნორდ-ოსტი, რაც ეგზომ დამახასიათებელია ხმელთაშუა ზღვისათვის, სადღაც გადაკარგულან და ასპარეზი გრილი ნიავისათვის დაუთმიათ. ამ საამო სიოს მთელი მკერდით სუნთქავ და ასე გგონია, ხმელთაშუა ზღვა კი არა, მთელი მსოფლიო შენიაო. კარგი ამინდი დელფინებსაც ახარებთ — რამდენიმე წყვილი ხომალდს გასაოცარი სისწრაფით, ჰაერში სტუნგითა და ონინაზობით თან მოჰყვება. „აქსაი“ ყელმოღერებული გედივით მისრიალებს და სიკეკლუცით არ ჩამოუვარდება არც საოცრად ლურჯსა და მოკამკამე ზღვას, არც თეთრად მოქათქათე კოცო-სპიდაროს შუქურას...

ადრე კი...

წლევანდელმა მკაცრმა ზამთარმა „აქსაი“ საგალაღო მდგომარეობაში ჩააგდო, მაგრამ მისმა ეკიპაჟმა, ადამიანების დაუღალავმა, ენერგიულმა შრომამ გემს კვლავ დაუბრუნა მისი პირველდელი სახე...

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში „აქსაის“ შავი ზღვის წყლებში მოუხდა ყოფნა, სამი თვე ქარიშხალსა და ავდარში იარა 800, ხოლო ყინულებში — 700-ზე მეტი მილი, გადაზიდა 100.000 ტონა ტვირთი. იგი ამავე დროს მაშველად ევლინებოდა ოდესის სანაპიროებთან ყინულებში გახერგილ გემებს. ხშირად ისშოდა ეთერში უჩვეულო თხოვნა — „ყინულმჭრელო „აქსაი“, გთხოვთ მოგვიახლოვდეთ“... და „აქსაიც“ მზად იყო მათ სამშველად. მის ბაკაფულ კვალში გაჭლეთ არა ერთ. გემს დაუდწეია თავი ყინულებისათვის. ასე დაიმსახურა ჩვენმა გემმა რატომღაც ყინულმჭრელის სახელი.

23 იანვრის საღამოს ნავსადგურ ტუაფსეში „აქსაიმ“ ტვირთი მიიღო და გურსი ხერსონისაკენ დაიჭირა. ნოვოროსიისკის რაიონში გაბატონებული ნორდ-ოსტი საშინლად მძვინვარებდა. ტალღის სიმაღლე 9 მეტრს აღემატებოდა. ზვირთები გემს შეუბრალებლად სცემდა, თავზე ეფლეთოდა და უფსკრულში ჩასანთქავად მიაქანებდა. ცა და ზღვა თითქოს შეერთებულიყო, ჰაერში ყინულის ბუდი ტრიალებდა, წინ არაფერი ჩანდა, შავი ნისლი გარს გვიხვია და გემი გზას ხმოვანი საყვირით „ტიფონით“ მიიკვლევდა. ეს ხმა ტალღების ღრიალში გაწყვეტილს ძახილს მოგაგონებდათ და ერთანტელს მოგგვრიდა არაზღვაოსანს.

ასეთი ამინდი დიდი ხანია არ მახსოვსო, იგონებდა გემის კაპიტანი ს. გრიგორიანი. იგი შემფოთებული იყო, თუმცა არ იმჩნევდა. კაპიტნის უფროსი მოადგილე ზურაბ ვოგიტიძე ვაბტუნ იდგა. იგი სრულიად მშვიდად იყო და ღიღინებდა კიდეც. ზურაბი ხომ ადრე ჩრდილოეთის ზღვებში ცურავდა და ასეთი ამინდი თავის სტიქიად მიაჩნდა. ერთხელ როგორღაც ვკითხე — რა არის ზღვა მეზღვაურისათვის-მეთქი. ზურაბმა მიპასუხა: ჩემი აზრით, ზღვა მეზღვაურისათვის მისი აკაფობის აკვანია, ქარიშხლით დარწეულია. და აი იმ ქარიშხლიან ღამეს ვიგონებდი მის სიტყვებს და საჭეს ჩაფრენილი ვირწეოდი გემთან ერთად...

ახლა კი ხმელთაშუა ზღვის წყნარ წყლებში იგი აღარ გვახლდა — სხვა გემზე გადაიყვანეს. გამომშვიდობებისას ბოცმანმა ემელიან კეშელავამ, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ვეშაპთსანადირო ფლოტილიაში გაატარა, ყოფილ უფროსს სინანულის თვალი გააყოლა და შეკითხვაზე ბოცმანო, რა, ასე გწყდებათ გული ზურაბზე-მეთქი, გვიპასუხა — ყოველმხრივ კარგია, ვენაცვალე მის გამზრდელ დედასო. ემელიანეს ქება კი არც ისე ოღი საშოგარია. ზურაბი ნიჭიერმა ახალგაზრდა ზღვაოსანმა ი. შანიძემ შეცვალა. ეს მისი მეცადინეობის შედეგია, რომ დღეს „აქსაი“ კვლავ ახალივით გამოიყურება...

ამრიგად, ზამთრის უამინდობა, სიძნელეები უკან დარჩა, წინ კი ატლანტის ოკეანე გველოდა. 7 ივლისს დანიშნულების ადგილს — დაკარის რაიონში საწვავი მივუტანეთ სევასტოპოლის საოკეანო თევზჭერის ფლოტილიას. მასში 40 ვიმში მეტი შედის. უსაზღვრო იყო ჩვენი სიხარული, როცა საწვავის მისაღებად საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს ტრაულერი „ახუნი“ მოგვადგა. თანამემამულეებმა ნავი სასწრაფოდ ჩამოუშვეს და ცოცხალი თევზით დატვირთულები სტუმრად გვეწვივნენ. „ახუნი“ თევზსაძიებელ გემად დაუნიშნავთ, იგი ოკეანეში დაეძებს თევზის ქარავნებს და აწვდის ცნობას ფლოტილიას. ამ საპასუხისმგებლო ამოცანის დაკისრება მეტყველებს ეკიპაჟის კარგ ცოდნასა და გამოცდილებაზე. ვეს მართავს კაპიტანი რევაზ მანჯგალაძე, შტურმანებია ვ. სიმონოვი, თ. ბერიაშიძე და ა. არაბი. საამაყოა, რომ ქართველი მეზღვაურები აგრძელებენ ჩვენს სასიქადულო კაპიტანთა ტრადიციებს, ტრაულერი „ახუნი“ ხომ სახელოვანი კაპიტნის გიორგი ხვანჭიძის ყოფილი გემია, იგი ამჟამად საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს ხელმძღვანელობს.

თევზსაჭერი ხომალდების საწვავით მომარაგება განსაზღვრულ დროში დავამთავრეთ. და ის იყო შინ დაბრუნებას ვაპირებდით, რომ დავალება მივიღეთ — ბრაზილიის ნავსადგურებში რესიფსა და ფორტალეზეში სამშობლოში წამოსაღები ტვირთი მიგვეღო. კურსი სამხრეთ ამერიკისაკენ ავიღეთ. ოკეანის გადაკვეთას 8 დღე მოვუნდით. გადასვლის პერიოდში მოვამზადეთ ტვირთსათავსები, რაც დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვდა — ღიზელის საწვავის შემდეგ ტანკებში უნდა მიგვეღო საკვები ზეთი. სამუშაო ძალზე ძნელი იყო, მაგრამ „აქსაის“ ეკიპაჟისათვის სიძნელეების გადალახვა უცხო როდია. ი. შანიძის ხელმძღვანელობით ეკიპაჟმა ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი და საქართველოს სანაოსნო სამმართველოს უფროსის ანატოლ კაჭარავას პირადი მადლობაც დაიმსახურა. ბრაზილიის ნავსადგურებში რესიფსა და ფორტალეზეში ვახტიდან თავისუფალი მეზღვაურები ვათვალიერებდით ამ სამხრეთულ ქალაქებს, ვეცნობოდით მათ ღირსშესანიშნაობებს.

ეკიპაჟმა დავალება პირნათლად შეასრულა. 12 აგვისტოს ღილით ღუზა მშობლიურ შავ ზღვაში — ილიჩევსკის ნავსადგურში ჩაგუშვით...

დ. სალარეიშვილი.

თბომავალ „აქსაის“ ეკიპაჟის წევრი.

ხურათებზე: „აქსაი“ ტვირთს იღებს (ზემოთ); ბიბრალტარის ჭურჭაში, (მარცხნივ, ზემოთ); ბრაზილიის ქალაქი-ნავსადგური რესიფი (ქვემოთ, მარცხნივ); „ზღვის მგელი“ — ბოცმანი ემელიან კეშელავა.

ფოტო ავტორისა.

მდგომარეობა ჩრდილოეთ ირლანდიაში

ლონდონი, 19 აგვისტო. (საკდესი). ინგლისს სასწრაფოდ გადაუყავს ჩრდილოეთ ირლანდიაში (ულსტერში) თავისი ჯარების ახალი კონტინგენტები. როგორც ბელფასტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა ჩრდილოეთ ირლანდიაში განლაგებული ინგლისის ჯარების სარდალმა ჯენერალმა ეინ ფრილენდმა, უახლოეს ორ დღეში მათი რიცხვი გადააჭარბებს 6 ათას კაცს. გარდა ქვეითი ჯარის ნაწილებისა, ულსტერში გადაუყავთ ჯავშანსატანკო ჯარები და არმიის ვერტმფრინავები.

როგორც პრეს ასოშიეიშნის სააგენტო იუწყება, ბელფასტისა და ლონდონდერის მთელ რიგ რაიონებში დღეს ღამით გაისმოდა სროლა.

ლონდონი, 20 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ინგლისის მთავრობის მეთაურის რეზიდენციაში გაიმართა ინგლისისა და ჩრდილოეთ ირლანდიის პრემიერ-მინისტრების ჰ. ვილსონისა და დ. ჩიჩესტერ-კლარკის საგანგებო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მათი კაბინეტების მთელი რიგი წამყვანი წევრები, შეხვედრაზე განიხილეს უმძაფრესი პოლიტიკური კრიზისი, რაც კი ჩრდილოეთ ირლანდიაში (ულსტერში) ყოფილა მისი არსებობის თითქმის 50 წლის განმავლობაში. ამ შეხვედრას წინ უძღოდა ინგლისის მთავრობის საგანგებო სხდომა, რომლის მეტი წილი მონაწილენი იძულებული გახდნენ სასწრაფოდ შეეწყვიტათ შვებულება და ლონდონში ჩამოსულიყვნენ, და ჩრდილოეთ ირლანდიის მინისტრთა კაბინეტის სხდომა.

ჩიჩესტერ-კლარკი ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქ ბელფასტიდან ლონდონში წამოვიდა უაღრესად ხიდუმლოდ, რადგან, როგორც ოფიციალურ წრეებში განაცხადეს, ბელფასტში შიშობდნენ, რომ აეროპორტში გაიმართებოდა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ.

ლონდონისა და ბელფასტის მმართველი წრეები ახლა ცდილობენ გამონახონ ახალი გზები და შეთოდები, რათა ჩაახშონ ფართო მოძრაობა მოქალაქეობრივი და დემოკრატიული უფლებებისათვის, რომელმაც მოიცვა ჩრდილოეთ ირლანდია. შემთხვევითი როდია, რომ ინგლისი განაგრძობს ჯარის ახალი კონტინგენტების გაგზავნას ჩრდილოეთ ირლანდიაში.

იმ დროს, როცა ლონდონში მიმდინარეობს ინგლისისა და ულსტერის პრემიერ-მინისტრთა მოლაპარაკება, ჩრდილოეთ ირლანდიაში კვლავ უაღრესად დაძაბული მდგომარეობაა. ბელფასტიდან მიღებული ცნობებით, მთელ რიგ ქალაქებში გაჩნდა ახალი ბარიკადები. ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობა ემზადება საკადრისი პასუხი გასცეს ახალ რეპრესიებს, რომლებსაც მას უქადის ორი პრემიერ-მინისტრის შეხვედრა.

ქომუნისტი
მე-8 გვერდი, ხუთშაბათი,
21 აგვისტო, 1969 წ.

მეტრო საბურთალოსკენ გაეშურება

თბილისის მეტროპოლიტენის კერსპექტივები

ლიდი თანამედროვე ქალაქის ცხოვრება გვიკარნახებს ყველაზე მეტად დამაკავშირებელი ტრანსპორტის — მეტროპოლიტენის მშენებლობის აუცილებლობას.

ძველისძველ და ახალგაზრდა, მრავალრიცხოვან და სწრაფად მზარდ თბილისს აქვს მიმოსვლის ეს ყველაზე სრულყოფილი და კომფორტაბელური საშუალება. ქალაქის მცხოვრებლებსა და მის სტუმრებში მეტრო უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. ჩვენი მეტროს ხაზების ქსელს უახლოესი წლების განმავლობაში გაფართოება, ზრდა და „განშტოება" მოელის.

თბილისელთათვის და რესპუბლიკის ყველა მშრომელთათვისაც, რა თქმა უნდა, საინტერესო იქნება შეიტყონ მეტად სასიამოვნო ახალი ამბავი: თბილისის მეტროს მალე გაუჩნდება ახალი მძლავრი განშტოება. ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით დამტკიცდა „სადგურის მოედან"-ით — „დელისის" უბანზე მეტროპოლიტენის ხაზის მშენებლობის საპროექტო დავალება, რომელიც შემუშავებულია საპროექტო ინსტიტუტ „კავგიპროტრანსის" (უფროსი ნ. სვანიშვილი) მიერ.

ახალი მიწისქვეშა არტერია დედაქალაქის მჭიდროდ დასახლებულ ახალ რაიონს — საბურთალოს დაუკავშირებს მიწისქვეშა გზის მოქმედ უბანთან „სადგურის მოედანზე" გავლით.

5,8 კილომეტრი სიგრძის ტრასაზე იქნება ოთხი სადგური: „წერეთლის პროსპექტი", „პოლიტექნიკური ინსტიტუტი", „კომკავშირისა" და „დელისი". „წერეთლის პროსპექტის" გვერდიანი იქნება ამავე სახელწოდების მაგისტრალისა და ვახუშტის ქუჩის გადაკვეთაზე. ეს იქნება დიდი სიღრმის სადგური სვეტებიანი ტიპისა ერთი საესკალატორო გვირაბით.

სადგური „პოლიტექნიკური ინსტიტუტი", აგრეთვე სვეტებიანი ტიპისა, მოეწყობა სპორტის სასახლესთან. ამ განშტოებაზე ორი მიწისზედა ვესტიბიული: ერთი ლენინის ქუჩაზე ორჯონიკიძის მოედანსა და სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ძირითად კორპუსს შუა და მეორე — პეკინის ქუჩისა და ბახტრიონის ქუჩის კუთხეში მდებარე სკვერში. ქვეითად მოსიარულეთათვის მოხერხებული რომ იყოს, ვესტიბიულებთან გაიყვანენ მიწისქვეშა გადასასვლელებს. სადგურების „წერეთლის პროსპექტისა" და „პოლიტექნიკური ინსტიტუტის" აგება დახურული წესით იწარმოებს.

„კომკავშირის" სადგური მცირე სიღრმისა იქნება. მას ექნება ორი ვესტიბიული: ერთი № 64 საშუალო სკოლის შენობასთან, მეორე — ტაშკენტის ქუჩასა და სასტუმრო „აფხაზეთს" შუა.

სადგური „დელისი", ისევე როგორც „კომკავშირისა", მცირე სიღრმისა იქნება. იგი აიგება ვაჟა-ფშაველას პროსპექტისა და ვაკე-საბურთალოს ახალი მაგისტრალის გადაკვეთაზე.

„კომკავშირის" და „დელისის" სადგურები აგებული იქნება დაპროექტების ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით: მიწისქვეშა გადასასვლელები ქვეითად მოსიარულეს მაქსიმალურად მიაახლოებენ სადგურებთან. „კომკავშირის" და „დელისის" სადგურები ღია წესით ამენდება.

ხაზის მშენებლები კოლოსალური მოცულობის მიწის, ბეტონის და რკინაბეტონის სამუშაოებს შეასრულებენ განსაკუთრებით მძიმე გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ პირობებში.

„კომკავშირის" სადგურ — „დელისის" უბანზე გამოყენებული იქნება სამუშაოთა ახალი სახე — ხელოვნური წყალდაწევა. მშენებლობის პერიოდში მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ის უხერხულობა, რაც ტრასის მიმდებარე ქუჩების მოსახლეობას შეხვდება. ამ მიზნით მცირე სიღრმეზე გასაყვანი გადასარბენი გვირაბები „კომკავშირის" სადგურსა და „დელისს" შუა გადაწყვეტილია ამენდეს დახურული წესით, ვაჟა-ფშაველას პროსპექტის სამგზავრო ნაწილას გაუხსნელად.

მშენებლობაზე განხორციელდება მიწისქვეშა სამუშაოთა მაქსიმალური მექანიზაცია. გადასარბენი გვირაბების გაყვანისას გამოყენებული იქნება ჩვეულებრივი და მექანიზებული ფარები, ერეკტორები, მძლავრი ქანდამტვირთავი მანქანები, ელმავლები და სხვა ტექნიკა.

არქიტექტორები და მომპირკეთებლები სადგურების ვესტიბიულებს „მორთავენ" გრანიტით, მარმარილოთი, მინით, პლასტიკებითა და სხვა მასალებით.

საბურთალოს ახალი ხაზის შემდგომი განგრძობა, ჩვენი აზრით, უნდა გამოიხატოს კიდევ ორი საღეურის მშენებლობით: ერთი უნდა ამენდეს ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, ხოლო მეორე — უნივერსიტეტი ნაგებობათა მშენებარე კომპლექსის რაიონში.

მშენებლობის დაწყება გათვალისწინებულია 1970 წელს. მაგრამ, დრო რომ არ დაკარგოთ, წელსვე შეიქმნა საამშენებლო მოედნების ათვისებას და დროებით ნაგებობათა მშენებლობას.

ამჟამად მშენებელთა კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგანან ინჟინრები ს. ჯუჯაძე, გ. დიდიძე, დ. კვანტალიანი, გ. კალანდარიშვილი, ემზადება იმისათვის, რომ „სადგურის მოედან" — „დიდუბის" უბანზე ჩაბაროს 3,8 კილომეტრი სიგრძის მეორე ლიანდაგი და მასთან კომპლექსში — მეორე საესკალატორო გვირაბი სადგურ „ვაჟა-ფშაველას" მოედანთან". სამშენებლო სამუშაოები უკვე დამთავრებულია. სრულდება დიდი მოცულობის ჰიდროსაიზოლაციო, ლიანდაგის, სამონტაჟო და მოპირკეთების სამუშაოები. სადგურ „ვაჟა-ფშაველას მოედანზე" მეორე საესკალატორო გვირაბის კორდონრისა და ვესტიბიულის არქიტექტურულ გაფორმებაში ვიყენებთ კურსების საბადოს გრანიტსა და უზბეკეთის მარმარილო „ვაზგანს".

ნამდვილად შემოქმედებით, მეზნეობრივ მრომობენ ბრიგადები, რომლებსაც სათავეში უდგანან ვ. პოდიაშვილი, ა. ზარქუა და რ. რიდონაია, ზეინკალ-მემონტაჟეთა ბრიგადა, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. დათაშვილი ხელმძღვანელობს. სოციალისტურ შეჯიბრებაში კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს გვირაბგამყვანებმა მ. გოგავამ, ლ. ოგანეზოვმა, მემონტაჟეებმა ტ. კვირიკაშვილმა, ვ. ნიკოლაევმა და სხვ.

თბილგვირაბმშენის ორდენოსანი კოლექტივი წლითიწლობით გადაჭარბებით ასრულებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმას. მიმდინარე წლის შვიდ თვეში თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის სამუშაოთა გეგმა შესრულებლია 108,8 პროცენტით.

მეტრომშენებელთა კოლექტივი მთელ თავის ძალებსა და ცოდნას მოახმარს იმას, რომ ვადაზე, მაღალი ხარისხით შეასრულოს თბილისის მეტროპოლიტენის ახალი ხაზის მშენებლობის სამუშაოები.

ვ. გოცირიძე.
თბილგვირაბმშენის სამმართველოს უფროსი.



• მეტრო აფართოებს თავის საზღვრებს •

ნაირ-ნაირი

სიცხემ იმძლავრა

ამინდი

ბევრს იმედი ვერ გაუმართლა შუა აგვისტოში ჩამოსულმა თბილისში, ივლისის მეორე ნახევრიდან აგვისტოს პირველი ნახევრის ჩათვლით მთელ საქართველოში უჩვეულოდ გრილი ამინდები იდგა, რაც გაკვირვებას და მოაგარაკეთა უკმაყოფილებას იწვევდა. ახლა კი, როცა ზაფხული იწურება, სიცხეებმა თავისი ძალა გვაგრძნობინა.

სამხრეთ დასავლეთიდან ამოერკვევასთან ტერიტორიაზე გავრცელება იწყო ტროპიკული პაერის მასებმა, რასაც მოჰყვა ტემპერატურის აწევა. კერძოდ, 18-19 აგვისტოს დასავლეთ საქართველოში მაქსიმალურმა ტემპერატურამ 36 გრადუსს მიაღწია. გალში, ზუგდიდში, ცხაკაიაში, გეგეჭკორში, სამტრედიაში, საჩხერეში, ამბროლაურში ალინიშნა 37, ცაგერში 38 გრადუსი ტემპერატურა.

აღმოსავლეთ საქართველოში ამ დღეს იყო მშრალი ამინდი, მცირე ღრუბლიანობა. თბილისში, გორდაბანში ალინიშნა 35, ბორჯომში, აბასთუმანში — 34 გრადუსი.

გუშინ, 20 აგვისტოს, 12 საათისათვის ყველაზე მაღალი ტემპერატურა — 32 გრადუსი დასავლეთ საქართველოში იყო ცაგერსა და გაგრაში, ფოთში — 26, სოხუმში, ზუგდიდში — 28, ქუთაისში, სამტრედიაში — 29.

ამავე საათისათვის აღმოსავლეთ საქართველოში იყო: თბილისში, გორდაბანში 33 გრადუსი, ბოლნისში 31, სურამში — 26.

როგორც, თბილისის ამინდის ბიუროში გვაცნობეს, ასეთი მაღალი ტემპერატურები აგვისტოს ამავე პერიოდის მრავალწლიან მონაცემებთან შედარებით ნორმაზე მაღალია, ამიტომ გახდა იგი ჩვენთვის ასეთი შესაჭმელი, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ ამინდის მკვეთრ გარდატეხას.

საინტერესოა, **როგორი ამინდია მოსალოდნელი უახლოეს დღეებში?** ეი რა გვითხრეს ამის შესახებ თბილისის ამინდის ბიუროს გრძელვადიანი პროგნოზების განყოფილებაში.

დასავლეთ საქართველოში ორი დღის შემდეგ მოსალოდნელია ტემპერატურის მცირე დაწევა, ზოგ ადგილებში წვიმები, ტემპერატურა 30-32 გრადუსის ფარგლებში. **აღმოსავლეთ საქართველოში** კი შენარჩუნებული იქნება უმეტესად მშრალი ამინდი მაღალი ტემპერატურით 30-35 გრადუსამდე. ასეთივე ხასიათის მშრალი, თბილი ამინდებია მოსალოდნელი თვის ბოლომდე.

აქვე ზოგადად გვაცნობეს სექტემბრის ამინდის შესახებაც. სექტემბრის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმები, აღმოსავლეთ საქართველოში კი უნალექო ამინდები. ყველაზე მაღალი ტემპერატურა მოსალოდნელია თვის დასაწყისში, ყველაზე დაბალს კი მოელიან მეორე დეკადის მეორე ნახევარში.

საშუალო თვიური ტემპერატურა დაბლობ რაიონებში იქნება 19-21 გრადუსი, რაც მრავალწლიანი ნორმის ფარგლებს უახლოვდება.

ლ. ხუბულური.

სხვა გაზეთებიდან

ოკეანის პირისპირ

ვლადივოსტოკი, 18 აგვისტო. ტონკინის ყურეში ძლიერი შტორმი დაატყდა თავს თბომავალ „ზეიას", რომელსაც ტვირთი მიჰქონდა ხაიფონში. როგორც კი ზღვამ შემოტევა შეიანელა, ეკიპაჟი შეუდგა შტორმის შედეგების ლიკვიდაციას. მატროსი ალექსანდრე კოჩავენკო გემბანზე ტვირთის დამაგრების სიმტკიცეს ამოწმებდა. უეცრად მას დიდი ტალღა დაატყდა თავს და გემიდან გადატეხა...

როცა გემზე შეამჩნიეს, რომ მატროსი აკლდათ, თბომავალი უკვე რამდენიმე ათეულ მილზე იყო ტრაგედიის ადგილიდან. ეთერში განგაშის სიგნალები გაიგზავნა, „ზეია" უკან გაბრუნდა. გავიდა მძიმე შვიდსაათნახევარი, სანამ ვახტაზე მდგომებმა ზღვაში ადამიანი დაინახეს. გემბანიდან გადაყარეს საშველი რგოლები, დაიწყეს ნავის ჩაშვება. იცოდნენ რა, რომ ყოველი წუთი ძვირფასი იყო, მესამე მექანიკოსი გ. ზავაცკი და კაპიტნის პირველი თანაშემწე ვ. შვეცი ტალღებში გადაეშვნენ, რომ კოჩავენკოს მიშველებოდნენ. ყველა გაკვირვა იმან, რომ მატროსს აღმოაჩნდა ძალა თვითონ ასულიყო ნავზე და შემდეგ — ტრაპით თბომავალზე. ალექსანდრემ კიდევაც იხუმრა:

— დიდხანს მომიხდა ლოდინი...

დასვენების შემდეგ მან ამხანაგებს უამბო:

— როცა ოკეანეში მარტო აღმოვჩნდი, მივხვდი, რომ როგორმე უნდა გამეძლო. ვიცოდი — თქვენ უთუოდ დაბრუნდებოდით. გავიანგარიშე: შესაძლო იყო ძებნას ათიოდე საათი დახჭირვებოდა — დავიწყე ძალღონის დაზოგვა.

შვიდსაათნახევარი ოკეანის პირისპირ ისეთი განსაცდელია, რომელსაც მხოლოდ ძლიერი, მამაცი ადამიანი გაუძლებს. ალექსანდრემ გამოიცადა ჩაბარა.

ნ. იაშინა.
(„პრავდა", 19/VIII).



ჭიათურა დღეს

განახლდა, გამოიცვალა ჭართული მარგანეცის ქალაქი ჭიათურა, რომელიც საბადოს დამუშავების დაწყების 90 წლისთავისათვის ემზადება.

ქალაქის მშენება და სიამაყეა სახელმწიფო თეატრი, დიდი ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის სახელს რომ ატარებს. თეატრის კოლექტივი მიმდინარე წლის ოქტომბერში აღნიშნავს თავისი არსებობის 75 წლისთავს (სურათზე ზემოთ, მარცხნივ); საბჭოთა კავშირში პირველი სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზა ჭიათურაში აშენდა. ახლა აქ ორმოცდაათზე მეტი საბაგირო გზაა. ისინი დაპროექტებული და აშენებული ჭიათურელი სპეციალისტების მიერ (ქვემოთ მარჯვნივ); მარცხენა სურათზე ხედავთ ჭიათურის სპორტულ კომპლექსს. მარტო ფეხბურთის სტადიონი 10 ათას მაყურებელს იტევს. აქვეა დახურული საცურაო აუზი. სპორტული კომპლექსი ჭიათურელი ახალგაზრდობის ჯანმრთელობის წრთობის საუცხო ბაზაა.



რეკორდები მძლეოსნურ ბილიკებზე

ოლიმპიური ბილიკები

გუშინ კიევის ცენტრალური სტადიონის სარბენ ბილიკებსა და სექტორებზე ამოიწურა სპორტსმენთა დიდი ასპარეზობა — საკავშირო ჩემპიონატი მძლეოსნობაში. უკანასკნელ დღეს გათამაშდა მედლების 12 კომპლექტი.

განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა წინადღის — 19 აგვისტოს შეჯიბრება. მძლეოსნებმა წარმატებით მიიტანეს იერიშები ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს რეკორდებზე. პირველ რიგში აღსანიშნავია ლიტვის წარმომადგენლის ვ. დუდინის მიღწევა. 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში მან აჩვენა დრო 8 წუთი და 22,2 წამი, და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. წინანდელი რეკორდი, რომელიც 2 წამით გაუმჯობესებულია, ეკუთვნოდა ფინელ ი. კუხს. ამავე ასპარეზობაში ჩვენმა მეორე სპორტსმენმა ა. მოროზოვმა აჩვენა 8 წუთი და 23,4 წამი, რაც აგრეთვე უკეთესია ძველ რეკორდზე.

ვაჟთა შორის წარმატება ხვდა ს. კრიუჩეკსაც. 800 მეტრზე რბენაში მისი შედეგი — 1 წუთი და 46,2 წამი ახალი რეკორდია. წინანდელი საკავშირო რეკორდი მან გააუმჯობესა შვიდი მეათედი წამით. მეორე იყო ვ. არეანოვი — 1 წუთი და 46,4 წამი.

100 მეტრზე თარჯრბენში თავი ისახელა ოდესელმა მძლეოსანმა ლ. სიტრინამ, რომელმაც 13,4 წამი აჩვენა და საკავშირო რეკორდი დაამყარა. ჭოკით სიმაღლეზე ხტომაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა ი. ისაკოვი — 5 მეტრი და 20 სანტიმეტრი. 400 მეტრზე რბენაში ქალთა შორის ყველას აჯობა ტ. კოვალევსკაიამ — 54,4 წამი,ბაღროს ტყორცნაში გაიმარჯვა ლ. მურავიოვამ —59 მეტრი.

400 მეტრზე თარჯრბენში პირველ ადგილზე გამოვიდა ვ. სკომოროსოვი — 49,1 წამი, უროს ტყორცნაში გაიმარჯვა. ა. ბოხდარჩუკმა — 73 მეტრი და 48 სანტიმეტრი.

ხელისშეშველი პოზიცია

საბჭოთა სპორტსმენები უარს ამბობენ მიიღონ მონაწილეობა წყალში ხტომაში ევროპის თასზე შეჯიბრებაში, რომელიც 22-24 აგვისტოს უნდა გაიმართოს იტალიის ქალაქ ბოლცანოში. ეს განაცხადა წყალში ხტომის საკავშირო ფედერაციამ. უარი გამოწვეულია იმით, რომ შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვეტა არ აღმართოს ეროვნული ალმები და არ შეასრულოს სახელმწიფო ჰიმნები გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიის დროს.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ მაშინ როცა სხვა ქვეყნების ფედერაციები იძლევიან იმის გარანტიას, რომ აღმართავენ ალმებს და შეასრულებენ ჰიმნებს, შეჯიბრების ორგანიზატორებმა იტალიაში კვლავ უგულებელყვეს ამ ცერემონიის მნიშვნელობა სპორტსმენებისათვის. (საკადესის კორ.).

გამარჯვება და ფრე

ბაიმართა „ა" კლასის მეორე ჯგუფის მეოთხე ქვეჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში.

ბათუმში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსა" და ბრესტის „სპარტაკის" გუნდები. აქ მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა. გიმარჯვეს ბათუმელებმა.

ტყიბულში პაექრობა ჰქონდათ კიშინიოვის „მოლდოვასა" და ტყიბულის „მეშახტის" გუნდებს. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

ბუშინ ბრნოს ტრიბუნებ ველოსრბოლები განაგრძობდნენ პაექრობას. წინადღით კი მოეწყო წინასწარი შეხვედრები გუნდურ რბოლაში დადგენებით ოთხ კილომეტრზე და სპრინტერ ქალთა შეჯიბრება.

დადგენებით გუნდურ რბოლაში მონაწილეობდა 15 გუნდი. პირველ ეტაპზე ყველას აჯობა ჩეხოსლოვაკიის გუნდმა, რომელმაც აჩვენა დრო 4 წუთი და 33,92 წამი. ჩვენი კვარტეტი მეოთხე იყო — 4 წუთი და 36,70 წამი.

მეოთხეფინალში საბჭოთა გუნდმა მძაფრ ბრძოლაში სძლია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ველოსრბოლებს, მაგრამ საერთო ჯამით მის მიერ ნაჩვენები დრო — 4 წუთი და 31,92 წამი მეორე აღმოჩნდა. უკეთესი დრო 4 წუთი და 31,34 წამი იტალიელებმა აჩვენეს. გარდა იტალიისა და სსრ კავშირისა, ნახევარფინალში გავიდნენ საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები.

სპრინტერ ქალთა ასპარეზობაში ჩვენი სამივე ველოსრბოლი — კირიჩენკო, ერმოლაევა და ცარიოვა ნახევარფინალში გავიდნენ. ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან კირიჩენკო-ერმოლაევა და ცარიოვა-მატიგი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

ველოსრბოლთა დავა

ახალი ტურის მატჩები

იწყება საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის.

დღეს პაექრობა ექნებათ იმ გუნდებს, რომლებიც მეთხუთმეტე-მეოცე ადგილებისათვის იბრძვიან. მოსკოვის „ლოკომოტივი" საკუთარ მოედანზე შეხვდება ლიდერს — ერევნის „არარატს". ალმა-ატაში ითამაშებენ ადგილობრივი „კაირატი" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი", ხოლო ტაშკენტში — „პახტაკორი" და სვერდლოვსკის „ურალმაში".

ხვალ კი მატჩები ექნებათ იმ გუნდებს, რომლებიც პირველი-მეთოთხმეტე ადგილებისათვის იბრძვიან.

ქუთაისის „ტორპედოს" გასვლითი თამაში აქვს დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდთან. ბაქოს „ნეფტჩი" საკუთარ მოედანზე ითამაშებს ლენინგრადის „ზენიტთან", დონეცკის „შახტიორი" — ოდესის „ჩერნომორეცთან", მინსკის „დინამო" — მოსკოველ თანაკლუბელებთან, ლუგანსკის „ზარია" — თბილისის „დინამოსთან", მოსკოვის „ტორპედო" — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდთან.

ტელევიზია

21 აგვისტო

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის „ბრწყინავს ვარსკვლავი (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ტყიბულის ბურთის პრიზზე (გადმოცემა ვოლგოგრადიდან), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — ბავშვებისათვის — ქართული მხატვრული ფილმი „მანანა", 19.25 — გადაცემა „სოფლის ეკონომიკა — მეცნიერულ საფუძველზე", 19.50—„ოპერის მომღერლები კინოში" (გადაცემა მეორე), 20.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „ძინდა ყველაფერი ვიცოდე", 21.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.40 — უნგრული მხატვრული ფილმი „ქვრივი და კაპიტანი", 23.15 — სიმღერის საერთაშორისო თესტივალი სოჩოტში (გადმოცემა ბოლონეთიდან).

რადიო

22 აგვისტო

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ჟ. ჯაბადარი. „ქართული რაფსოდია", 07.30 — დილის კონცერტი, 08.30 — უკრაყნ ინსტრუმენტული ანსამბლი „ცისფერი ეკრანი", 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 11.05 — ა. რუბინშტეინი. სცენები ოპერა „დემონიდან", 11.45 — ქართული ხალხური სატრფიალო სიმღერები, 12.10 — საუბარი „სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ინტერესებისათვის", 12.25 — ს. რახმანინოვი. მეორე საფორტეპიანო კონცერტი, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ნ. ვაწაძე. პირველი სიმფონიური კვარტეტი, 14.00 — საოპერო მუსიკის კონცერტი (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ა. შავერზაშვილი. ნაწყვეტები ოპერა „ბარინედან", 17.35 — მოსწავლეთათვის. „გმირი ბავშვები", 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — რ. მოიკო. ვოკალური ციკლი ა. ისაკიანის ტექსტებზე, 19.00 — საუბარი „სტანდარტული, ეს იგი საუკეთესო", 19.15 — ს. ჯონსი. ნაწყვეტები ოპერეტა „გეიშადან", 19.45 — მსუბუქი მუსიკა, საორკესტრო პიესები, 20.30 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. ერთმანეთს ხვდებიან როსტოვის არმიის სპორტული კლუბისა და ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდები (რეპორტაჟი როსტოვიდან), 21.15 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. ერთმანეთს ხვდებიან ლუგანსკის „ზარიას" და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდები (რეპორტაჟი ლუგანსკიდან), 22.00 — კ. ხეთაგუროვი. „ჯიხვებზე ნადირობა". მოთხრობა, 22.50 — ბ. ბერლიოზი. უვერტიურა „რომაული კარნავალი", 23.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

„კომუნისტის" მორიგი ნომერი გამოვა შაბათს, 23 აგვისტოს.

„კომუნისტი" | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-53, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-23-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

KOMUNISTI ИНДЕКС 66443 ფფ 03284

ხელ. ტ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.

რედაქტორი **დ. მეედლიშვილი.**